ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 16
31/03/2017

16-04-4-201703311755

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტისათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და ,,ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორების წესების, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების, ნასყიდობის, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №19 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს (დ.დუმბაძე) პირდაპირი განკარგვის წესით, 5 (ხუთი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტს გადასცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

№	სარწყავი არხების აღწერა	სარწყავი არხების მისამართი, დაფარვის ზონა	სარწყავი არხის გრძივი მეტრი	საკადასტრო კოდი	ქონების საერთო ღირებულება (ლარი) აუდიტის დასკვნის შესაბამისად
1	სარწყავი არხი	სოფელი ჯალაბაშვილები	2283,28	21.00.089	20551,95

2	სარწყავი არხი	სოფელი დანდალო (ჟანივრი)	1722,59	21.00.132	18950,25
3	სარწყავი არხი	სოფელი დანდალო (ტაკიძეები)	2844,93	21.00.136	31296,98
4	სარწყავი არხი	სოფელი დანდალო (არძენაძეები)	903,22	21.00.135	9936,30
5	სარწყავი არხი	სოფელი მოსიაშვილები	1102,50	21.00.068	9923,40

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

3. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ.სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე